

Enhanced Cooperation for Secure Borders and Safe Migration

მეტი თანამშრომლობა დაცული საზღვრებისა და უსაფრთხო
მიგრაციის მხარდასაჭერად

გამოცემა | Issue #2
სექტემბერი | September 2015

A project funded by European Union's Eastern Partnership Integration and Cooperation Programme for Georgia

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ "აღმოსავლეთის პარტნიორობის ინტეგრაცია და თანამშრომლობა" პროგრამის ფარგლებში

IN THIS ISSUE ამ გამოცემაში

Georgian Revenue Service Delegation Visited U.K.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების ვიზიტი დიდ ბრიტანეთში

MIA Operative Technical Department Visited Finland

შსს-ს ოპერატიული ტექნიკური დეპარტამენტის ვიზიტი ფინეთში

Study Visit on Data Management to Estonia

მონაცემების მართვის თემაზე ვიზიტი ესტონეთში

Cooperation with the Diaspora Office – Main Achievements

დიასპორის სამინისტროსთან თანამშრომლობა – მიღწევები

Reintegration Assistance to Returned Migrants – Close Cooperation with the Ministry of Refugees

სარეინტეგრაციო დახმარება დაბრუნებული მიგრანტებისათვის – მეტი თანამშრომლობა საქართველოს დევნილთა სამინისტროსთან

Safe Migration – IOM Mobility Centres Support Legal Migration Processes

უსაფრთხო მიგრაცია – მობილურობის ცენტრების ძალისხმევა კანონიერი მიგრაციის პროცესების ხელშეწყობისთვის

Focus on IOM Mobility Centre in Telavi

IOM-ის მობილურობის ცენტრი თელავში

The International Organization for Migration (IOM) has completed the first 20 months of implementation of the EU-funded project "Reinforcing the Capacities of the Government of Georgia in Border and Migration Management" (More for More).

The overarching objective of this project is to assist the Georgian authorities in implementing the Visa Liberalization Action Plan and in dealing with the challenges posed by the management of borders and migration flows. Highlights of the past 6 months include the further development of risk analysis capacities of the Ministry of Internal Affairs (MIA) and the Revenue Service of the Ministry of Finance through study tours to EU Member States, deployment of EU experts to Georgia and engagement on document fraud and identity management with the Ministry of Internal Affairs, the Public Service Development Agency (PSDA) of the Ministry of Justice and the Ministry of Foreign Affairs.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) შეასრულა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრის და მიგრაციის მართვის მიმართულებით" (მეტი მეტისათვის) პირველი 20 თვე.

პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში და საზღვრების მართვის სფეროში და მიგრაციის ნაკადებით გამოწვეული სირთულეების გადალახვის პროცესში. განხორციელებულ საქმიანობებს შორის აღსანიშნავია ევროკავშირის ქვეყნებში სასწავლო ვიზიტების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროსა (შსს) და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება რისკის ანალიზის სფეროში, ევროკავშირის ექსპერტების ვიზიტები საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და საგარეო საქმეთა სამინისტროს ქართველი კოლეგებისთვის ყალბი დოკუმენტების ამოცნობის და იდენტიფიკაციის მართვის სფეროებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.



This project is funded by the European Union
პროექტს აფინანსებს ევროკავშირი



This project is implemented by IOM
პროექტს ახორციელებს IOM

The views expressed in this publication do not necessarily reflect the views of the European Commission
ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები შესაძლებელია არ ასახავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს

Georgian Revenue Service Delegation Visited U.K. Border Force to Gain Exposure to Risk Analysis Approach

On 26 – 29 May 2015 IOM coordinated a visit to the U.K. for senior officials from the Revenue Service of Georgia. The aim of the visit was to gain practical exposure to the approach of the U.K. Border Force to risk analysis. The delegation was provided with extensive exposure to the Port of Felixstowe which handles 46% of all ship cargo entering and leaving the U.K. Border Force officers specializing in targeting, intelligence and operations were on hand to provide detailed explanations concerning their approaches to dealing with the huge cargo volumes at the port. At the International Postal Hub in Coventry the delegation was provided with comprehensive exposure to screening post and the use of risk analysis as it applies to large volumes of postal items. Discussions included seizure of items such as counterfeit pharmaceuticals as well as the methods employed to ensure appropriate duty is paid on goods posted to the U.K. At Birmingham Airport the delegation observed targeting approaches at the red channel and also risk analysis of air freight.



შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების ვიზიტი დიდ ბრიტანეთში რისკის ანალიზის სფეროში სასაზღვრო პოლიციის გამოცდილების გაზიარების მიზნით

2015 წლის 26 – 29 მაისს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ კოორდინაცია გაუწია შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების ვიზიტს დიდ ბრიტანეთში. ვიზიტის მიზანი იყო პრაქტიკული ინფორმაციის მიღება დიდი ბრიტანეთის სასაზღვრო პოლიციის საქმიანობაზე რისკის ანალიზის სფეროში. საქართველოს დელეგაცია გაეცნო ფელიქსტოუს პორტის საქმიანობას, რომლის პასუხისმგებლობაშია დიდ ბრიტანეთში შემავალი და გამავალი ყველა საზღვაო ტვირთის 46%. ოფიცრებმა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან პორტში დიდი რაოდენობის ტვირთთან მუშაობის სპეციფიკაზე ისაუბრეს. დისკუსია გაიმართა ისეთ თემებზე, როგორიცაა ფალსიფიცირებული ფარმაცევტული საშუალებების ჩამორთმევა და შესაბამისი გადასახადის გადახდა დიდი ბრიტანეთის მიმართულებით გაგზავნილ ტვირთზე. ვიზიტის დასასრულს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ეწვიენ ბირმინგჰემის აეროპორტს და გაეცნენ წითელ ზონაზე მუშაობის სპეციფიკას და რისკის ანალიზის მიდგომას საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვასთან მიმართებაში.

MIA Operative Technical Department Visited Finland – Capacity Building in Use of EU-Funded Surveillance Apparatus

IOM cooperated with the Finnish Border Guard (FBG) to enable four officials from the Georgian Ministry of Internal Affairs' Operative Technical Department (OTD) to visit Kainuu in central Finland from 15 - 18 June 2015. With EU funding, 3.2 million dollars of equipment is being procured for upgrading Georgia's border surveillance apparatus. The OTD officials received first hand exposure to the equipment used in Finland and how, for example, cameras and sensors are synchronized. The Georgian delegation viewed the command centre in Kajaani, the green border close to Suomusalmi and the border checkpoint at Varteus. Time spent at Varteus included a helicopter patrol with the FBG to the south of the checkpoint.



შსს-ს ოპერატიული ტექნიკური დეპარტამენტის ვიზიტი ფინეთში - შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საზღვრის სამეთვალყურეო აღჭურვილობის გამოყენების მიმართულებით

2015 წლის 15 - 18 ივნისს IOM-მა, ფინეთის სასაზღვრო პოლიციასთან თანამშრომლობით, ორგანიზება გაუკეთა შსს ოპერატიული ტექნიკური დეპარტამენტის ოთხი თანამშრომლის ვიზიტს ფინეთის სასაზღვრო რეგიონში, კაინუში. ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარეობს საქართველოსთვის 3.2 მილიონი დოლარის ღირებულების საზღვრის სამეთვალყურეო აღჭურვილობის შესყიდვა. ოპერატიული ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოინახულეს აღჭურვილობა, რომელსაც ფინეთი იყენებს და მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება კამერების და სენსორების სინქრონიზაცია ფინეთის სასაზღვრო პოლიციის მიერ. შსს-ს თანამშრომლები ესტუმრენ სუომუსალმისთან მდებარე მწვანე საზღვარს, ქაჯანის მართვის ცენტრს და ვარტეუსის სასაზღვრო საბაჟო გამშვებ პუნქტს. ვარტეუსში შსს-ს ოპერატიული ტექნიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, ფინეთის სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს გამშვები პუნქტის სამხრეთი ნაწილის ვერტმფრენით პატრულირებაში.

Study Visit on Data Management to Estonia

IOM Georgia in coordination with the IOM office in Estonia organized a 3 day exploratory visit for an inter-agency delegation from the Georgian government to Tallinn in February 2015. The purpose of the visit was to get acquainted with the databases operated by different migration management authorities, their approach to migration data collection, analysis and management for informed policy development and risk reduction. A visit to the Estonian statistics office was also made to understand the existing cooperation between the agency and migration agencies for aggregated migration statistics development. The Georgian delegation consisted of representatives of the analytical units of the Ministry of Interior, Refugees and Accommodation, Public Service Development Agency of the Ministry of Justice, Consular Department of the Ministry of Foreign Affairs and Statistics Office of Georgia. The recommendations stemming from the visit included further conceptualization of the structure of the unified migration data analysis system to be established in Georgia by the end of 2015.



მონაცემების მართვის თემაზე ვიზიტი ესტონეთში

2-6 თებერვალს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოსა და ესტონეთის მისიების ერთობლივი ძალისხმევით დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოს დელეგაციის სასწავლო ვიზიტი ტალინში. ვიზიტი მიზნად ისახავდა დელეგაცია გაცნობოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, პოლიციისა და სასაზღვრო სამსახურის, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიგრაციის მონაცემთა ბაზების ოპერირების დეტალებს, ფუნქციონირებას დანაწილებას მიგრაციის მონაცემთა შეგროვების, ანალიზის სფეროში, ანალიზზე დაყრდნობით მიგრაციის პოლიტიკის წარმოადგენი და რისკების შეფასების საკითხებს, ასევე დაედგინა რა როლს თამაშობს გაანალიზებული მონაცემები ოპერატიული სამსახურების საზღვრისა და იმიგრაციული პროცესების უკეთ მართვის თვალსაზრისით. განხორციელდა ვიზიტი ესტონეთის სტატისტიკის სამსახურში, სადაც დელეგაცია გაეცნო სტატისტიკის სამსახურსა და მიგრაციულ სტრუქტურებს შორის არსებულ თანამშრომლობისა და აგრეგირებული მიგრაციული სტატისტიკის წარმოების საკითხებს. საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილი იყო შინაგან საქმეთა, ლტოლვითა და განსახლების და იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ანალიტიკური განყოფილებებისა და მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისიის სამდივნოს თანამშრომლებით. საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმოდგენილი იყო საკონსულო დეპარტამენტის სახით.

IOM Expert Profile - Mark Richmond

IOM Tbilisi's resident Integrated Border Management and Training Specialist Mark Richmond has engaged on multiple fronts in 2015. Training in Smuggling of Migrants was conducted for both judges and State Prosecutors, document fraud training for consular staff being posted overseas by the Ministry of Foreign Affairs, interviewing skills training for Patrol Police officers and officials from the Migration Department of the MIA and identity management training for Public Service Halls officials in both Tbilisi and Kutaisi. Additionally Mr. Richmond has delivered presentational skills training upon request to Revenue Service, MIA and also officials from the Public Service Development Agency of the Ministry of Justice.



IOM-ის ექსპერტის პროფილი - მარკ რიჩმონდი

IOM თბილისის თანამშრომელი, საზღვრის ინტეგრირებული მართვის და ტრენინგის სპეციალისტი, მარკ რიჩმონდი, 2015 წელის მანძილზე პროექტის მრავალ საქმიანობას ახორციელებს. მან მოსამართლეებისათვის და პროკურორებისთვის ჩაატარა ტრენინგი მიგრანტების საზღვარზე უკანონო გადაყვანის თემაზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის და შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან კი ისაუბრა ყალბი დოკუმენტების ამოცნობაზე. თბილისისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების წარმომადგენლებისათვის ბატონმა რიჩმონდმა ჩაატარა ტრენინგები იდენტიფიკაციის მართვის სფეროში. ამასთან, მან შემოსავლების სამსახურის, შსს-ს და იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თხოვნით მათი თანამშრომლებისთვის პრეზენტაციის უნარების განვითარების ტრენინგი ჩაატარა.



Reintegration Assistance to Returned Migrants – Close Cooperation with the Ministry of Refugees

The International Organization for Migration (IOM) and its Mobility Centres have been working closely with the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia (MRA) for almost two years to develop a sustainable reintegration support system for Georgian returnees. Experiences, challenges and best practices that were shared with the MRA by the Mobility Centres formed the basis for the National Reintegration Assistance Programme for 2015. For the first time in the history of the country, the Government of Georgia allocated GEL 400,000 from the 2015 State budget in support of those Georgian nationals who decide to return home.

Seven NGOs selected by the MRA and trained by IOM offer reintegration support to returnees under the programme. IOM also shared with them its approach towards counselling methodologies, information materials and databases developed under the More for More project. The Tbilisi Mobility Centre regularly offers consultations to the NGOs, refers beneficiaries to the National Reintegration Assistance Programme and provides expert advice to the MRA.

Preliminary estimations for 2016 are that the MRA will allocate increased budgetary resources to reintegration for returned migrants. Experience-sharing and cooperation between IOM and the MRA will prepare the Georgian Government to take full ownership of the reintegration assistance process after completion of the EU-funded project in 2017.



სარეინტეგრაციო დახმარება დაბრუნებული მიგრანტებისათვის – მეტი თანამშრომლობა საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მობილურობის ცენტრები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით უკვე წელიწადნახევარზე მეტია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა მდგრადი რეინტეგრაციის ხელშეწყობის სისტემის ჩამოყალიბებაზე მუშაობენ. მობილურობის ცენტრებმა სამინისტროს გაუზიარეს პროექტის ფარგლებში მიღებული გამოცდილება, გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა, რაც საფუძვლად დაედო საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების 2015 წლის სახელმწიფო პროგრამას. სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობამ, პირველად ქვეყნის ისტორიაში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 400,000 ლარი გამოყო.


მიგრანტებს სარეინტეგრაციო დახმარებას პროგრამის ფარგლებში სამინისტროს მიერ საგრანტო კონკურსით შერჩეული შვიდი არასამთავრობო ორგანიზაცია სთავაზობს. IOM-მა აღნიშნული ორგანიზაციებისათვის დაბრუნებული მიგრანტების ქართულ საზოგადოებაში მდგრადი რეინტეგრაციის და მათთვის სრულფასოვანი მომსახურების მიწოდების თემაზე ტრენინგები ჩაატარა

და მათ მეთოდური, საინფორმაციო მასალები და ევროკავშირის პროექტის ფარგლებში განვითარებული მონაცემთა ბაზა გაუზიარა. ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თბილისის მობილურობის ცენტრი კონსულტაციას უწევს პროექტში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახდენს ბენეფიციართა გადამისამართებას რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამაში, მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგში.

წინასწარი შეფასებით, დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები 2016 წლისთვის გაიზარდება. IOM-სა და დევნილთა სამინისტროს შორის გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის საფუძველზე 2017 წელს, ევროკავშირის პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება მზად იქნება სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს დამოუკიდებლად გაუწიოს სარეინტეგრაციო დახმარება.



Cooperation with the Office of the State Minister of Georgia for Diaspora Issues



At the request of the State Minister of Georgia for Diaspora Issues and in close cooperation with the State Ministry, IOM developed a full-fledged Diaspora web-portal www.tanamemamule.ge between 2013 and 2014. This digital platform for enhanced communication and interaction between the Diaspora and Georgian State allows for smooth entry and updating of information of interest to Georgian migrants' and Diaspora. Information is available concerning investment and business development as well as the possibility to access sources of funding available in Georgia. In addition information is available for young Georgians living abroad on internship and employment possibilities in different enterprises as well as help in registering for and applying for job vacancies announced by employers. Finally there is information available concerning temporary assignments for qualified members of the diaspora in the public, private and NGO sectors.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობა

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოთხოვნით, 2013-2014 წლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით განავითარა დიასპორული ვებ პორტალი www.tanamemamule.ge. ციფრულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შექმნილი პორტალი წარმოადგენს შესანიშნავ პლატფორმას დიასპორასა და ქართულ სახელმწიფოს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობისათვის. ვებ პორტალი საშუალებას იძლევა შეიყვანოს დიასპორისათვის საინტერესო ინფორმაცია, აცნობომათ ბიზნესის განვითარებისა და თანადაფინანსების არსებულ პროგრამებზე, მიაწოდოს ხმა ახალგაზრდებს სტაჟირებისა და დასაქმების პერსპექტივებზე სხვადასხვა საწარმოებში და დაარეგისტრირდეს და დააკავშიროს დამსაქმებლებთან საქართველოში ჩამოსვლელად; პორტალზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია კვალიფიციურებული დიასპორელებისათვის დროებითი მივლინების პროგრამების შესახებ სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.



Safe Migration – IOM Mobility Centres Support Legal Migration Processes

IOM Mobility Centres in Tbilisi, Kutaisi, Telavi and Batumi not only assist returnees with reintegration assistance, but also provide objective, reliable and up to date information to prospective migrants on the realities of migration from Georgia. This includes information about legal migration and visa procedures, employment opportunities in specific countries of destination, assessments of the reliability of job offers, safeguarding migrants' rights, risks of irregular migration, referral mechanisms and reintegration assistance that is available for returnees. The Mobility Centres organize regular information meetings with local and rural populations on the topic of safe migration in every region of Georgia. In the field of preventing irregular migration, IOM closely cooperates with the MRA and the Interagency Coordination Council on Combating Trafficking in Persons, coordinated by the Ministry of Justice. Representatives of local media, NGOs, educational institutions that are engaged in information meetings assist IOM in information dissemination among population.

Information provision and consultation services are available to beneficiaries by phone (hot line), in person, online (via project webpage and social networks), and during information meetings (with potential migrants, governmental, non-governmental sector). Since the beginning of the project (February 2014), 2,800

individuals have addressed the Mobility Centres with information queries and 3,042 people participated in the community outreach meetings.

Assistance for Trafficked Persons


IOM has been actively cooperating with the State Fund for the Protection and Assistance to Victims of Trafficking in Persons (www.atipfund.gov.ge) in identifying victims of trafficking in persons. This concerns in particular residents of Ajara's high mountainous region and environmentally displaced persons in the Meskheti and Tsalka districts, who pursued labour migration opportunities in Northern Iraq. This was particularly popular in the years 2012 and 2013, when many Georgians travelled to Iraq to work as care providers and manual labourers. Some of them ended up in conditions of exploitation and, upon their return, came into contact with IOM for the purpose of receiving reintegration assistance. Recognizing the signs of exploitation, IOM decided to refer 15 individuals to the so-called Permanent Group (which is part of the National Referral Mechanism for the Combat of Trafficking in Persons), which allocated victim of trafficking status to 8 of them, making them eligible for various types of assistance from the state. IOM has been assisting all of them with tailored reintegration assistance, also using these instances to warn other potential migrants of the risk of traveling abroad to find a job without recourse to any protection mechanisms.

უსაფრთხო მიგრაცია - მობილურობის ცენტრების ძალისხმევა კანონიერი მიგრაციის პროცესების ხელშეწყობისთვის

IOM-ის მობილურობის ცენტრები თბილისში, ქუთაისში, თელავსა და ბათუმში პოტენციურ და დაბრუნებულ მიგრანტებს აწვდიან ობიექტურ, სანდო, უახლეს ინფორმაციას ლეგალური მიგრაციული პროცესების, სავიზო პროცედურების, კონკრეტულ ქვეყნებში დასაქმების შესაძლებლობის, შემოთავაზების სანდოობის დადგენის, მიგრანტთა უფლებების, ასევე არალეგალური მიგრაციის მოსალოდნელი საფრთხეების და მათი თავიდან აცილების, რეფერალური მექანიზმების გამოყენების და დაბრუნებული მიგრანტებისთვის ხელმისაწვდომი სარეინტეგრაციო დახმარების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრებს უსაფრთხო მიგრაციის შესახებ IOM-ის მობილურობის ცენტრები ქვეყნის ყველა რეგიონის, ასევე სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთანაც ატარებენ. არალეგალური მიგრაციის საფრთხეების პრევენციის კუთხით მიგრაციის საერთაშორისო

ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან, რომელსაც კურირებს იუსტიციის სამინისტრო. შეხვედრებში ჩართული ადგილობრივი მედიის, არასამთავრობო, ახალგაზრდული ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები IOM-თან ერთად მოსახლეობაში საინფორმაციო მასალების გავრცელებაში მონაწილეობენ.

საინფორმაციო და საკონსულტაციო საქმიანობა ხორციელდება სატელეფონო (ცხელი ხაზი), ინდივიდუალური, ელექტრონული (პროექტის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების გამოყენებით), კონსულტირების, საინფორმაციო შეხვედრების (პოტენციურ მიგრანტებთან, სამთავრობო, არასამთავრობო სექტორთან) მეშვეობით. პროექტის დასაწყისიდან (2014 წლის თებერვალი) დღემდე ცენტრებს სულ 2,800-მდე ადამიანმა მიმართა, ხოლო 78 საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 3,042 ადამიანმა.



ტრეფიკინგის მსხვერპლების დახმარება

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან (www.atipfund.gov.ge). ეს კონკრეტულად ეხება აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობას და ეკომიგრანტებს მესხეთის და წალკის რაიონიდან, რომლებიც დასაქმების მიზნით ჩრდილოეთ ერაყში გადადიან. აღნიშნული რეგიონის მოსახლეობას შორის ამ მიზნით და მიმართულებით მიგრაცია განსაკუთრებით პოპულარული იყო 2012 და 2013 წლებში, როდესაც ბევრი ქართველი მომგვლელად დასაქმების და ფიზიკური შრომით შემოსავლის მიღების იმედით ერაყში გაემგზავრა. ზოგიერთი მათგანი ექსპლუატაციის მსხვერპლი

აღმოჩნდა და დაბრუნების შემდეგ სარეინტეგრაციო დახმარების მისაღებად IOM-ს მიმართა. IOM-მა ზოგიერთ შემთხვევაში ექსპლუატაციის ნიშნები ამოიციო და 15 პიროვნება ე.წ. მუდმივ ჯგუფთან გადაამისამართა (რომელიც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული რეფერალური მექანიზმის ნაწილია). ჯგუფმა აღნიშნული პიროვნებებიდან რვას ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ კი სპეციალურად მათ საჭიროებებზე მორგებული სარეინტეგრაციო დახმარება შესთავაზა. IOM ტრეფიკინგის ამ კონკრეტულ შემთხვევებს სხვა პოტენციური მიგრანტების გასაფრთხილებლად იყენებს, რომლებიც საზღვარგარეთ სამუშაოდ ყოველგვარ დაცვით მექანიზმებზე წვდომის გარეშე გამგზავრებას ფიქრობენ.

Focus on

IOM Mobility Centre in Telavi

The IOM Mobility Centre in Telavi works in two main areas: reintegration support for Georgian returnees and consultation provision on all safe migration-related issues for potential migrants. Since the start of the project, the Telavi Mobility Centre has assisted up to 70 returnees. One such returnee is Marina, who lived and worked in a number of family-type hotels in Ireland for 12 years before coming back to Georgia in 2013. With the money that Marina earned in Ireland she supported her husband and son who had remained in Georgia.

Two years ago Marina decided to return to Georgia and start her own business. With the Mobility Centre support and the EU funding Marina opened a family-style hotel in her own house, located in the centre of the City of Telavi, a popular destination for tourists as well as for people from all over Georgia. Hotel "Mari" has been active for over a year now benefiting from a good location and reasonable prices for accommodation.

The hotel is mainly managed by Marina herself, but in summer, when more tourists visit Telavi, she often hires local young people to help her out.

"I was lucky that this service was available for migrants like me in the period when I decided to return. The support that I received definitely gave me motivation to start-up something of my own. I am happy I decided to come back to my family in Georgia."

Marina

For more information on IOM Mobility Centres and their activities throughout Georgia visit the More for More Project website:

www.informedmigration.ge



IOM-ის მობილურობის ცენტრი თელავში

IOM-ის მობილურობის ცენტრი თელავში ორი მიმართულებით მუშაობს: დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა და პოტენციური მიგრანტების კონსულტაცია უსაფრთხო მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. პროექტის დაწყებიდან დღემდე თელავის მობილურობის ცენტრი 70-მდე დაბრუნებულ მიგრანტს დაეხმარა, მათ შორის არის მარინა, რომელიც საქართველოში დაბრუნებამდე 12 წლის მანძილზე ირლანდიაში სხვადასხვა საოჯახო ტიპის სასტუმროებში მუშაობდა. გამომუშავებული თანხის ნაწილს ის მთელი ამ წლების განმავლობაში მეუღლეს და ვაჟს უგზავნიდა, რომლებიც საქართველოში დატოვა.

2013 წელს მარინამ საქართველოში დაბრუნება და საკუთარი მცირე ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტა. მობილურობის ცენტრის მხარდაჭერით და ევროკავშირის დაფინანსებით მარინამ საკუთარ სახლში საოჯახო ტიპის სასტუმრო გახსნა. სასტუმრო „მარი“ თითქმის ერთი წელია რაც ფუნქციონირებს. ის თელავის ცენტრში მდებარეობს. ქალაქს ბევრი ტურისტი და ბევრი ქართველი სტუმრობს. სასტუმრო მათ ხელმისაწვდომი ფასით და კარგი ადგილმდებარეობით ხიბლავს.

მარინა სასტუმროს დამოუკიდებლად მართავს, მაგრამ ზაფხულში, როდესაც თელავში ტურისტების რაოდენობა მატულობს, ის ადგილობრივ ახალგაზრდებსაც ასაქმებს.

"გამიმართლა, რომ პროექტი ჩემი პირობების მქონე მიგრანტებისთვის ხელმისაწვდომი იყო მაშინ, როდესაც მე დაბრუნება გადავწყვიტე. მობილურობის ცენტრის მხარდაჭერამ მომცა მეტი მოტივაცია წამომენყო საკუთარი საქმე. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ოჯახს დავუბრუნდი."

მარინა

IOM-ის მობილურობის ცენტრების და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებ გვერდს:

www.informedmigration.ge

Coming up in the next issue

15-17 October: Batumi, Training course for law enforcement on smuggling of migrants

October-November: round 4 of community outreach meetings for promotion of safe migration (Kakheti, Shida and Kvemo Kartli, Imereti, Ajara)

November: assessment of migrant reintegration assistance programme

December/January: bilateral meeting Georgia-Turkey on combating cross-border crime, Batumi

შემდეგ გამოშვებაში

15-17 ოქტომბერი: ბათუმი, ტრენინგი სამღვაწელთა მიგრანტების უკანონო გადაყვანის თემაზე სამართალდამცავი უწყებებისათვის

ოქტომბერი-ნოემბერი: საინფორმაციო შეხვედრები უსაფრთხო მიგრაციის თემაზე (კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, იმერეთის, აჭარის მოსახლეობასთან)

ნოემბერი: მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის შეფასება

დეკემბერი/იანვარი: ორმხრივი შეხვედრა ბათუმში საქართველოს და თურქეთს შორის, ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის თემაზე

IOM Georgia Office in Tbilisi

19 Tengiz Abuladze Street
Tel.: +995 32 225 22 16
Fax: +995 32 225 22 17
E-mail: iomtbilisi@iom.int

Safe Migration Hotline
Tel.: +995 32 291 34 61

IOM თბილისის ოფისი

თენგიზ აბულაძის ქ. 19
ტელ.: +995 32 225 22 16
ფაქსი.: +995 32 225 22 16
ელ-ფოსტა: iomtbilisi@iom.int

უსაფრთხო მიგრაციის ცხელი ხაზი
Tel.: +995 32 291 34 61

IOM Georgia Mobility Centres

Tbilisi

15 a Tamarashvili Street
Tel.: +995 32 260 09 55
E-mail: MCTbilisi@iom.int

Kutaisi

63 Akaki Tsereteli Street
Tel.: +995 431 24 44 43
E-mail: MCKutaisi@iom.int

თბილისი

თამარაშვილის ქ. 15ა
ტელ.: +995 32 260 09 55
ელ-ფოსტა: MCTbilisi@iom.int

IOM მობილურობის ცენტრები

ქუთაისი

აკაკი წერეთლის ქ. 63
ტელ.: +995 431 24 44 43
ელ-ფოსტა: MCKutaisi@iom.int

Telavi

8 Erekle II Street
Tel.: +995 350 27 08 72
E-mail: MCTelavi@iom.int

Batumi

63 King Pharnavaz Street
Tel.: +995 422 22 88 83
E-mail: MCBatumi@iom.int

თელავი

ერეკლე მე-2 ქ. 8
ტელ.: +995 350 27 08 72
ელ-ფოსტა: MCTelavi@iom.int

ბათუმი

ფარნავაზ მეფის ქ. 63
ტელ.: +995 422 22 88 83
ელ-ფოსტა: MCBatumi@iom.int

www.informedmigration.ge



This project is funded by the European Union
პროექტს აფინანსებს ევროკავშირი



This project is implemented by IOM
პროექტს ახორციელებს IOM